



## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- -- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

14 მაისი 2018 წელი

ქ. თბილისი

დისციპლინური საქმე №150/17

-- -- 2017 წლის 25 აგვისტოს №-- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 20 აპრილის №150/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 14 მაისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

**1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:**

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2017 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით უკანონოდ და დაუსაბუთებლად ეთქვა უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე. სასამართლოს მიერ არასწორად მოხდა როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი გარემოებების შეფასება.

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ დაარღვია მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპი. მოსამართლე ეხმარებოდა მოპასუხე მხარეს მიმანიშნებელი შეკითხვებით, რომელშიც სავარაუდო პასუხები იყო. შეკითხვაზე, რაზეც მოპასუხეს არ ქონდა პასუხი, მოსამართლე სთავაზობდა რამდენიმე სავარაუდო პასუხს, ასევე როცა პოზიციას ვერ

აყალიბებდა მოპასუხე, მოსამართლე ეხმარებოდა და სთავაზობდა ალტერნატივებს, მაგალითად, მოპასუხე მხარემ არ წარმოადგინა ალტერნატიული ექსპერტიზა და განმარტა, რომ ექსპერტი სახლში არ შეუშვა მოსარჩელემ, შემდეგ კი საბოლოო პოზიციის ჩამოყალიბებისას მოსამართლემ მიმანიშნებელი შეკითხვით მიაწოდა აზრი და შესთავაზა ალტერნატივა, რომ განა ვერ ჩაატარა, არამედ თვლის, რომ რაც უკვე ჩატარებული აქვს, ის საკმარისია მისი პოზიციის სამტკიცებლად.

საჩივრის ავტორის განმარტებით, განხილვის საგანი უნდა გახდეს მოსამართლის გადაწყვეტილების კანონიერება, რამდენად ადეკვატური და გონივრული იყო რომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებით იკვეთება რომ მოსამართლე მიკერძოებულია, რაც ლახავს მის უფლებებს და ანადგურებს სასამართლოს პრესტიჟსა და რეპუტაციას.

## **2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

2016 წლის 18 აპრილს -- -- სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის -- -- მიმართ, ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით.

2016 წლის 16 აპრილის და 2016 წლის 10 მაისის შუამდგომლობებით მოსარჩელის წარმომადგენელმა მოითხოვა სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელება.

2016 წლის 18 მაისის განჩინებით შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს დაევალა გზავნილის მხარისათვის გადაცემა.

2016 წლის 21 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულმა ორგანომ წარადგინა სასამართლოში გზავნილის ჩაბარების დასტური.

2016 წლის 24 ივნისს -- -- წარადგინა შესაგებელი.

2016 წლის 7 ივლისს -- -- წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება და -- -- საკუთრებაში არსებულ 8 უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება მოითხოვა.

2016 წლის 8 ივლისის განჩინებით -- -- განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

2016 წლის 8 სექტემბერს -- -- საჩივრით მიმართა სასამართლოს და -- საქალაქო სასამართლოს 08.07.2016 წლის განჩინების გაუქმება მოითხოვა.

2016 წლის 13 სექტემბრის განჩინებით -- -- საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

2016 წლის 28 სექტემბრის განჩინებით -- -- საჩივრის დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი და საქმე გადაეგზავნა -- სააპელაციო სასამართლოს.

2016 წლის 27 დეკემბერს და 2017 წლის 9 თებერვალს განცხადებებით მიმართა სასამართლოს მოსარჩელის წარმომადგენელმა და მოითხოვა სასამართლო სხდომის დანიშვნა.

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 13 თებერვლის განჩინებით მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2017 წლის 9 მარტს.

2017 წლის 9 მარტის საოქმო განჩინებით საქმის განხილვის გაგრძელება გადაიდო 2017 წლის 2 მაისს.

2017 წლის 15 მაისის განცხადებით -- -- მოითხოვა სხდომის გადადება.

2017 წლის 18 მაისის საოქმო განჩინებით სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა გადაიდო 2017 წლის 20 ივნისს.

სასამართლო სხდომები გაიმართა 20.06.2017 წ; 11.07.2017 წ; 20.07.2017 წ. პერიოდებში.

2017 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2017 წლის 8 აგვისტოს -- -- სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, განსახილველ საქმეზე სააპელაციო სასამართლოში დავა ჯერ არ დასრულებულა.

### **3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:**

-- -- 2017 წლის 25 აგვისტოს №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2018 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია).

### **4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევავსოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების

დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების პირველი მუხლის მიხედვით მოსამართლე მართლმსაჯულების განხორციელებისას დამოუკიდებელია და გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ კანონის შესაბამისად. ამავე კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, მოსამართლე ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ დონეზე უნდა განამტკიცებდეს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობისადმი.

ბანგალორის პრინციპების 2.2 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს რომ მისი ქცევა როგორც სასამართლოში, ასევე მის გარეთ იცავდეს და ამაღლებდეს მოსამართლისა და სასამართლოს მიუკერძოებლობის მიმართ ნდობას, როგორც საზოგადოების, ასევე იურიდიული პროფესიების და მხარეების მხრიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კანონის მე-5 მუხლის თანახმად, მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 128-ე მუხლის თანახმად, მოსამართლეს უფლება აქვს შეკითხვები მისცეს მხარეებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულად და ზუსტად განსაზღვრას, მათ დასადასტურებლად მტკიცებულებათა გამოვლენას და სასამართლოში წარმოდგენას, მათი უტყუარობის გამორკვევას. განსახილველ შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებიდან და სხდომის ოქმის დეტალურად მოსმენის შედეგად ირკვევა (11.07.2017. 13:58:20), ადგილი ქონდა მოსამართლე -- -- მხრიდან მხოლოდ დამაზუსტებელი შეკითხვის დასმას, რაც არ წარმოადგენს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპების დარღვევას.

ამასთან, რაც შეეხება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, მოსამართლე მოქმედებდა შინაგანი რწმენის საფუძველზე. გადაწყვეტილების ამ მხრივ შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

## 5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 14 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №150/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი